



სალიბარტურო და სამეცნიერო ნახაბიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 50.

დეკემბერი 5, 1893 წ.

№ 50.

შპაჯრის: — პასუხად, ლექსი დეტუ-მეგრელისა. — ჩვენი სახიობი მახავალისა. — ქებათა-ქება, ლექსი ვაჟა-ფშაველასი. — ცხოველთა გაბიზენა ე-ლისა. — * * * ლექსი კნ. ნ. ორბელიანისა. — მისალმების ჩვეულება. — წმინდა მოწამე აბო გ. წერეთლისა. — ფარნაოზ ივერიის მეფე დრამატული სურათი ესტატესი — დაღუბული პსიხოლოგიური სურათი ან. დეკანოზიშვილისა. — კრიტიკული შენიშვნები პ. გ. — ა. ვერუბა, ლექსი ჩტერიმელის-პირელისა — სახუმარო გასართობი. — კრძო განცხადებანი.

წ ა ს უ ხ ა დ

ჩვენი სახიობა



მბობენ: „შეგვაწუხა
ამდენმა მოთქმა-ტირილმა“..
საკირველია!.. მაშ, რა ჰქნას,
იციროს მამულიშვილმა?..

რომელმაც იცის, რომ მტრისგან
ვერ დაძლეული, სამშობლო
მისევე შვილი პირუმტკიცობამ
დაძლუბა, მოულო ბოლო!

რომელიც ჰგედვს, რომ ახლაც,
ვინც მიანია მსხუნლად ერს,
შუთით და მტრობით აღესიღნი,
მხოლოდ ებრძვიან ერთმანეთს,
და რომელიც ჰგრანობს, რომ თავის
ამხანაგებზეც მოპოვრდა:
საქმის დაწყების უმაღლე
ყველამ უმტყუნა, მოაშორდა?!

არა, დე, სხვებმა იციონ,
შეამკონ ლეინო, ქალები!
მე კი ვიტყვებ, სანამდის
ტირილს შესძლებენ თვალგებ,
ან სანამ ჩემის ცრემლითა
არ მოერწყვა მთელ ჩემ ქვეყანას
და არ გამოვალგებინებ
წყაფსს, რომ მინდა მისთანას!

აკატაგანა, ღრამა ნ. მოქმედებად რწილურისა, თარგ.
ნ. ავალიშვილისა.



ეთერამეტე საუკუნეში ევროპის განათლებულმა
ეროვნებამ ახალი ფრიად ნაყოფიერი გზა
გაიკვალა ხელოვნებაში. ამ დროს ღიდი ცვლი-
ლება შემოვიდა განსაკუთრებით სახიობაში. ცნო-
ბიერს კაცობრიობას აღარ აკმაყოფილებდა ძველი
სიბრძნე და უნდოდა სიერცე მოსაზრებისა გამოეყვანა
ძველის ეიწრო სიბრძნის დარჯაკიდან; მაგრამ
ამის მოსახდენად იგი საჭიროებდა ისეთს გენიოსს,
რომ იმის ბავიდან წარმოშობდა რიყო უფრო ძლიე-
რი, უფრო განიერი წყარო ესტეტურის მცნე-
ბისა, ბუნებისა და ცხოვრების ეითარების შეს-
წავლისა. მართლაც ამ დროს წამოყო თავი გერმანია-
ში ერთმა საკირველმა გენიოსმა. მან შემოიტანა
ახალი ფილოსოფიური აზრი ხელოვნების ეითარების
შესახებ და ამით შესწნა დაძველებული სიბრძნის
ბოაკილი ახალ კაცობრიობის კუთვ-გონებას. შესა-
ნიშნავია, რომ კაცი, რომელსაც კისრად უნდა ელო-
ეს ღიდი მოციქულობა, დაიბადა და აღიზარდა გერ-
მანიის ფილოსოფურ კვლევის ნიადაგზე. მან იწინას-

წარმეტყველო ახალი შუქი განათლებისა და შეიქნა მეცნიერებისა და ახალ მოქალაქეობის ვითარად გერმანიაში. ხოლო მისმა ესტეტურმა თეორიამ კი მთელს ევროპის ეროვნებას მოჰგინა ახალი ნათელი. რომელი იყო მაგისტანა კაცი გერმანიაშია?—იქნება იკითხოს მკითხველმა. ეს იყო ლესსინგი. მან ამცნო ახალ კაცობრიობას, რომ საგანი ცხოვრებისა არის მისწრაფება შენეიერებისადმი, ამისთვის რომ თვით შენეიერებაში გამოსტვევს სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ ასულდგმულებს და ამოქმედებს ყოველს არსებას, ხოლო საგანი ხელოვნებისა ამ შენეიერების აღმოხატვაა. ამის გამო ხელოვნება იმდენად მაღლა დგას, რამდენადაც იგი დაახლოებულია ცხოვრების შენეიერებასთან; იგი იმდენათ აკეთილშობილებს, აუბიწოებს და აღმააღლებს თითოეულს კაცს, რამდენათაც უფრო განიტაცებს მას შენეიერებისადმი. თვით შენეიერება კი იმდენათ ვრცლად აღმოხატება ხელოვნებაში, რამდენათაც იგი ეცდება წამოაყენოს კაცის თვალ-წინ ცხოვრების სინამდვილე. თანახმად ასეთის მცნებისა ლესსინგი ქადაგებდა, რომ ყოველს სტენურს წარმოადგენაში უნდა ეძებდეთონ ამდვილს ცხოვრების სურათს თვისი სიკეთით და ნაკლებდებოდნითა და როდესაც სახიობა ამ ზომამდე მიადწევს სტენურს წარმოდგინებაში, აი, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახიობამ გამოგვაცდევინა ესტეტური სიამოვნება ცხოვრების შენეიერებისათ. რაკი ასეთი შეხედულობა დამკვიდრდა საზოგადოებაში, შემდეგ ამან გამოიწვია გერმანიაში დიდი ნიჟის მწერლები გეტე და შილლერი, რომელთაც გამოიყვანეს სტენაზე თავის ერის ცხოვრება, მთელი მეთვრამეტე საუკუნის მიმართულება და იმ საუკუნეში მცხოვრებთა ერთა მისწრაფება გონების წარმატებისადმი. ჩვენ არ შევცდებით, ვთქვათ, რომ მხოლოდ ლესსინგის მცნებამ გამოიწვია ასაპარზეზე უკუდანი ხელოვნებითი თხზულებანი ჩვენის საუკუნისა. გეტესა და შილლერის სახიობითი თხზულებანი დღემდე დარჩენილან კაცობრიობის გონების განსავითარებლად და მის ზეწობის ასამაღლებლად.

შილლერის დრამაში „აეზაზები“ გამოკყანილია ორი ძმა: კარლოსი და ფრანკ მოარები. ერთია გულწრფელი, მზენ, ყოველი კეთილის თანამგრძნობელი და მტერი უსამართლოებისა; მეორე კი მახინჯი გონებით, ზნეობით და ავებულებითაც. ამათი ურთიერთ-შორისი ბრძოლა ცხოვრების ასაპარზეზე მთელი კაცობრიობის სურათია, კაცის სულის ასამაღლებელი და ზნეობის აღმაღვეწელი. მართლაც ბუნებითი ნიჟიეობით შეწყული ღ გონება განვითარებული მსახიო-


ბები სჭირდებოდა ასეთს თხზულებას, რომ იგი სულ-ხოვრე შემზული გამოჩენილი სტენაზე. საქებრად ჩვენის ნიჟიერის მსახიობებისა, იმით ჩინებულად ააატარის სტენაზე თაე-თავისი როლები. აღექვიე-მესხიეემა, კოტე ყიფინამა, ვეღეფინაშეილობა და ქალბატონმა აველიშვილისამ; სიმონიძესაც არა უჭირდარა. გეორგი რიგის როლებში კარგები იყენ შათიორიშვილი ლეონიდე და კანდელიკი. ჩენ არ იეიკით, რამდენად დამწიფებულია სიმონიძის თამაში. ეინ იესს, იქნება იმდენად დასრულებული იყოს მისი წარმატებითი ზრდა, რომ რაც უნდა შენიშვნა მისეე, აღარა მიეკაროს რა, როგორც კეღელს ცერცი აღარ მიადგება. მაგრამ თუ რომ დაკვირვების და შესწავლის ნიჟიე რეკი კიდევ არ დაკარგია მას, ვეცდებით ზოგიერთი რჩევა მიეცეთ. მაგალითად, ძალიან ცუდი ჩეეულება სჭირს მას იმითი, რომ გამოეა თუ არა სტენაზე, მაშინეე აუკრავს და უმადლესი ტონით გამოთქმას დაადგება; შემიდე მუდამ ერთ ნაირი მაღალი ხმით, თითქმის ღრიალითაც უწუებებს სულს მაყურებელს; ამასთანეე იგი მეტისმეტად იბერება, საოცრად ქმინავს და თეოდებს აბრალოლებს. ნუ თუ იმან არ იცის, რომ ყოველ მოქმედებას და შინაგანი სულის მღეღეგარების მომენტს თავისი შესაფერი გარეგანი გამომეტყველებაეც უნდა ჰქონდეს. მაგალითად საცენოეო იყო ის მომენტე, როცა მას ძმის წიანი მოუტანეს. ეერ არც კი გაეცნა წიანი, რომ შათიორიშვილმა შეეცრა. რამ გამოგველო სახეეეო, რას გუთიერო? ჩენე კი ეხედებით, რომ ის სრულებითაც არ გამოიცვალა. ის კი არა, გაყეითლების მაეეერთა, ეგონებ ეიდე უეწრო გაღუღაღაღაღა ლოყები; მეეე „Скорымъ шагомъ маршь“ და გარეთ ეეეარდა. სებათა შორის ამ წარმოდგენაში მეტად ცხადად ჩნდა რეისორის უეწარგისობა. მაგალითად ეკი ყიფინაი, მოხუცი მოარის, აეკერდება თავის შვილის სურათს; იეეეე ამალია და გულზე და თავზე ხელის მიღებით ანიშნებს მოხუცს, რომ კარლოს მოარს გონებაც და გულიც ჩინებული აქესო, მაგრამ თუ კი მოხუცი ამალიას მიმიკას არ შეხედვდა, რანიარად უნდა გეეეე იმის აზრი?

აღექვიე-მესხიეეი სწორედ კარგი სანახავი იყო ფრანკ მოარის როლში. ამ ოთხის წლის წინათ მინახავს იგი ამ როლში და დიდი განსხვავება შეეაქმნიე. მის თამაშობას ბეერი წარმატება მისცემია: მისი დრამატული ნიჟი ჩინებულად დამწიფებულა. აღექვიე-მესხიეეის იმა ღამის ნამდვილობა თამაშმა კინადამ იმსხვერპლა ხელოვანი მსახიობის სიცოცხლე. როცა სასწრაფოვლად ჩამოეცია, ისეთი სინამდვილე მოქმედებისა დაეტყო, რომ ეიკად მართლა დაიხრო. სუბებს გრიმიზოეკე და ეარეგანი მოართულობა კოქლოზიდა. ერთი შენიშვნა უნდა მეეეე ჩენე მსახიო-

ბებს. რა საჭიროა მინც და მინც, რომ ფრანც მოარს წითელი თმა გავკეთებინა და წითლად ჩაეცვა. ნუ თუ მართლა დარწმუნებულნი არიან ჩვენი მსახიობები, რომ მხოლოდ წითური კაცები არიან ბოროტები?. ვანა შევი თმინი კი არ იქნება ბოროტი? კაცის სიბოროტე მსახიობმა თავაშით უნდა დაგვიხატოს და არა გარეგანი მორთულობით. აბა, რა საჭიროა ეს ძველი მანერა გრიმიროვკისა.

რაიკა შეეგება დრამის თარგმანს, სწორედ ჩინებულ-ლი ქართული ენით არის ნათარგმნი და ძნელად თუ აზრების კაც ბ. ნიკოაველიშვილის თარგმანში რაიმე ხიწყის. ასეთი ქართულის მკოდნე, როგორც არის ბ. ნ. აველიშვილი, ბევრს სარგებლობას მოუტანს ღარიბ ქართულს დრამატულს ლიტერატურას, ოღონდ რომ კლასიკური დრამების გადმოღებებს ხელს მიჰყოფდეს.

მახაკალი



ქ ე მ ა თ ა - ქ ე მ ა



ულდასავეთ ქრისტესა რადა ჰლადატობ, ძმობილო, გველ-ბაყაყებთან ჰინადრობ ეაქ-კაცო კეთილ-შობილოა?! აილე თავი, გამწნედი, გულს მიაკრიბე სიმართლეს რად გიყვარს ბნელი, ნეტები, რისთვის შეგძულდა სინათლე? ნუ დაჰრმავედები გონებით, ნუ დასწლუნგდები გრძნობითა, მოძმეს რად ჰსუთავ პირში სულს თავის კეთილის უოფითა.

მანამ სკოცხლობდა გულს ელა მას სიყვარული ქვეყნისა, იმაზე იყო ალალი ძუძუ და ნანა ღედისა. მოკვდა უცხოეთს, შეიქნა ის მსხვერპლ-შაფის ბედისა. ჩვენ დაევიწყეთ მის ღვაწლი ღირსი ხსოვნისა მეტისა. მრავალ-ჟამიერ იკურთხოს მაღლი მაგ შენის ქედისა! ბევრს დაუკარგეთ ამაგი ღვაწლი და გრძნობა ციურვი; ეაწამეთ იესოსავით, უგინეთ სახე ღვთიური, სიკოცხლით დაგვაიწყებდა შრომის ფასება მშრომლისა, მოკვდება უნდა ეუკურთხოთ ნიჭი და ძუძუ მშობლისა. ეს ჩვენში ხდება, იკითხეთ, სხვაგან მომხდარა როდისა?!

მელორე ღორებს მიუქსევს, მეძროხეები ძროხებსა ხარაზი ჰყარავს წულებსა, მეჩოხეები ჩოხებსა; მუშები მიწდგრაღ გასულან იტრიალებენ თოხებსა. შეეხარით, შეეტრფით ყველანი თავის ჩამოშლილს ქოხებსა: საღ მეგავეთე გავნოს სწერს ქვეყნის მტარებს ესერის კოხებსა, საღ ღიაკანი ღიაკნობს მღვდელი ხმას მოიბოხებსა: შეავედრებენ უფულსა ქვეყნის მაღლს, ქვეყნის ცოდვებსა; შესძღნიან დამადებელსა ცხელს და მღვლარე ლოცვებსა; ერთი მხრით ცოდვა დამღვარა და მეორე მხრით მაღლია. მაღლსა ჰსურს ცოდვა დახაგროს, ცოდვა კეთილის ადლია. უნდა იბრძოლონ მანამდე, სანამ ქვეყანა არია, მანამდე ვარსკლავებია, მანამდე მზე და მთვარეა. სიტკბოს რა დაჰლევს ქვეყნადა მანამა სუფევს მწარია. ერთი ბატონობს იმიტომ, მეორე ეყმოს იმასა, უღრუმლოდ განა არ იცით, საღ რა მოიყვანს წვიმასა?! ეინაც მოკვდება დამარბეთ, გაჩნდება, ურწყეთ აკვანსა, წამოიზრდება, დაიწყებს მღერას და ტბილად კაკანსა. საქრო საკოლეს დაემებს, საკოლე კიდევ საქროსა

ერთსაც ის უნდა, სხვასაც,
რომ პირი ჩაიშაქროსა.
წაეა, ვაიელის დროება,
სიკედლილი მოდგა ახლოსა.
სადღა ძველი გრძობები,
ლაწეისა ლაწეზე ტოლებმა?
აღელვებულსა გრძობებმა
ებლა ჰბრძანებლობს გონება.
სულის საქმეზე-ლა ზეიქრობს
უძლურად ქმნილი ღეშია,
და აგერ მეკუბოცეა,
კუბო უჭირავს ხელშია.
ესაა ჩენი სიცოცხლე,
მისი თავი და კულია,
თავს ეცხარებთი სასმელად,
თუმცა კი ბოლო ცუდია.

სამსახურიდან გამავდეს,
ღავეხეტები ცალადა,
მწადიან ცოლი შეეერთო,
კარგი ვარ თვალად-ტანადა.
საცა რამ მაჰანკლებია,
ყველასა ესთხოვე ვალადა.
იარონ კილით-კიდემდე
და მიმაჰანკლონ კვალადა,
შემოკრბა ბებრის ნახირი,
ყველა ჩაცმული შეადა;
შემოვიწყრიე გარშემო,
შუაში ჩაეჯექ თაედა.
მაშინ შევექმნა თათბირი,
გაემართეთ ბჭობა დილია,
ესთქვი: ჩემის საქმის წამართეა
ებლა თქვენზედა ჰქილია;
თქვენ იცით, ნათლიდედებო,
როგორც აუბნებთ ენასა.
ვიმელობ, ჩემის ქებითა
მსმენლთ დაუხშობთ სმენასა.
სიმღიდრით მაქეთ, სხვას ყველას
თავი ანებეთ, სჯობია.
„ეგ ჩენც ეციითო, — იმთ სთქვეს —
„რა დიდი ასაცნობია!
„განა არ ეციით, რომ ფული
„მეფობს ეხლანდელს დროშია“.
თუ რას ბებრები მიშველენ,
ჯიბეს არ მიძე გროშია.

ყველგან არა სძოვს ირემი,
არც ყველგანა ჰსევა წყალსაო,

რა მიჭირს, თუ დაგინახე,
ცოტათი მოგკრავ თვალსაო.
ხან-და-ხან შენაც მომხედ
შენის ეშხითა მთერალსაო.
გიყვარვარ, ისა ჰგონია
ვარე შემორტყმულს ხალსაო.
მე რომ თვით ვიცი, ჰთვალთმაქცობ,
ნახვისას გვირვე კვალსაო,
შენ ხომ სხვას ეარშიყები,
მე ტყულად მდებენ ბრალსაო.
არც ისე ლამაზიცა ხარ,
ნუ მოიწონებ თავსაო.
მე შემეყვარდი, არ ვიცი,
რად არ მოსწონხარ სხვასაო?!
ჩემი ოცნება გამშვენებს,
გარიდებს ყველა ავსაო,
დაბრმავებული ტრფობითა
შენს აეს ეძახის კარგსაო.
როდის მოვიხიბ, არ ვიცი,
ამ სიყვარულის ბარგსაო!?

ის აღარა ვარ, ძმობილო,
რაც გინახივარ წინადა,
წუწუკმა დიაცმა გამხდა
თავის ბაშმაკის ძირად;
ორ გროშად აღარ მიყიდი,
აქამდის ეღირდი ძვირადა,
ღმერთმა დასწყველოს დიაცი
გელაქ უყება პირადა,
თუნდ არ უღირდე, იცოდე,
უბრალო პანტის ჩირადა.
ეინ იცის ეინ უყვრია
მკერდზე პერანგის ლილადა!
მე ნულარ ჩამთვლით, მოძმენო,
თქვენთან მამულიშვილადა.
შენაც კულს გიქნეს, სხვასაც,
ამით სულდგმულობს წყეული.
ეის არ ჰქმნის გულ-დაკოდისა
დიაცი გამოსეული.

რამდენჯერ გითხარ, ძმობილო,
თავში მოიეც გონია,
არ დაიჯრე, გამიწყერ,
რჩევა არ გამიგონია,
წახეელ და წყალში ვერ გახეელ,
ეერსად იპონენ ფონია.
ცოლ-შვილი დაწოაკე,

დღეა ატირე ზარითა
 მთაში შენ ვინ მოგიგონებს,
 წყველას გითელნიან ბარითა.
 ნეტა-კი უკკო ჯიუტი
 არ დამანახეა თვალითა.

—
 ლიხის მთას გადავიხედე,
 მოსჩანდა მხარე ლამაზი;
 ვნახე ერთობით ხალხს-კა
 იმერ-მეგრელი, აფხაზი,
 ვნახე და დიდხანს ეუცქირე,
 ესტუმბოდი იმათ ცქერითა,
 მომწონდა ქალი და კაცი
 ჩაცმა-დანურეთი, ფერითა,
 თქვენც რომ გენახათ, იტყოდით,
 ნაკვერები კვერითა;
 მაგრამ შეენიშნე ერთი რამ,
 იმან გულისა მცხოა მურია,
 ხომ იცით, იმას ისე ემტრობ
 როგორც ლორის ხორცს ურია.
 აბა გაიგეთ, ვინც ისმენთ
 და სმენადა გაქვთ ყურია?..
 სად არ გეძულს, თუ კი ქვეყნისთვის
 მართლა სიკეთე გეწყურია?!

—
 ერთხელ შენც ლოთიფოთობდი,
 ბლომად გქონდა გროშები,
 დღეს ვინაც გნახავს და გიცნობს,
 უთუოდ შეეცოდები.
 გაგზუნებია შლიაბა,
 დაგძველებია ქოშები,
 დოსტებიც შემოგფანტეია,
 ვიხედავ გეღუე ამაგი,
 რაღა დროსია, რას უშეეღ,
 თუმც გენანება ახლა კი?
 დასდინარ, ადგილს დაეძებ
 ოც მანათიანს თვეშია;
 თხოვნა მიეცი ჩვენს ბანქში,
 ოცი სხეა მიღის დღეშია.
 მარგალიტით ბიჭი ხარ,
 შენ გეთაყვანე ღმერთშია.

—
 დაბერდა, მაგრამ ჯეილოვს,
 ლამაზთ აუოლებს თვალებსა,
 არ უნდა თქვენი, სამოთხე
 ოღონდ ჰხედედეს ქალებსა
 თუ ბაღში გამოიჩნებოდა,
 მსახურებს დაბარებოდა.

გამიგონია ამბადა
 ერთი რამ ძველი თქმულობა:
 ერთხელ ერთს დიდრონს ჭაობში
 ბაყაყთ ჰქონიაა უჩილობა.
 იმ ბაყაყებში რეულა
 ერთი დიდრონი ყიყინა,
 ის თურმე წამოშადარიყო
 გზისაკე ყველაზე წინა.
 მოჯარებულან სხეანიცა,
 წამოუყვიათ თავები,
 ამაყად იცქირებიან
 სახით მრისხანე, აეები
 და ღმერთს შესთხოვედნენ, დაეშრო
 ტლაპო ბედ-გასაშეები,—
 მით მოსწრებოდნენ ეფაკანი
 ცაზედა ბინადრობასა,
 ვარსკვლავებთანა ყოფნასა,
 მცობას და მეგობრობასა.
 დიღ ისთვის გაშრა ჭაობი,
 მტვერმა დაიწყო აღენა
 და მოახლოედა ნამდვილად
 ბაყაყთა გეარის წახდენა.
 უცდიან, სად და როდისა
 აფურინდებიოთო ცაზედა
 და დაებრძანდებით მძიმედა
 გაშლილს სუფრაზე, მზაზედა.
 ვიი რომ ბაყაყთ კეთილ ფიქრს
 სეტყეამ მოასწროა გზაზედა!
 ამ დროსა მოლახნაებდა
 მალლა ბაყაყი-ყლაბა;
 ბაყაყთა მოსისხლე მტერსა
 გრძელი ფეხები აბია.
 'შენიშნა ბაყაყთა გუნდი
 რიყედ ნაყარი მშრალზედა,
 იამა მსუნაგს ფრინველსა,
 მსწრაფოდ დაეცა თავზედა
 და გადაარეკა ბაყაყნი
 ვარსკვლავებს შორის ცაზედა!

—
 არ ვიცი საით წაივდი,
 საღლა ვეძებო წამალი?..
 წინ გზას მიძინელებს წყვილიადი,
 ადგილი არ სჩანს საელოი,
 ან რისთვის მინდა მე ის გზა
 ბრიყეთა ფეხებით ნათელი?!
 არ მინდა, არა, რადგანაც
 მან არ გეაჩენა ნათელი!

თვით უნდა დაესლა ბილიკი,
 ეისტიალო ბნელაში
 და უნდა სული დაელოა
 კეთილის საქმის შევლაში.
 ეს არის სულის ნარჩევი,
 გონების დანაბეჭდია,

ეს არის ჩემი წადილი,
 ეს არის ჩემი ბედია.
 დადეიარ გაკავებული,
 არ მომიხრია ქედია,
 იქნება ღმერთამაც მიშელოს,
 ასრულდეს დანაბეჭდია

ვაჟა-ფშაველა



ცხოველთა განხიზვნა

ბშირად მრავალ გვარი ცხოველი ალღოს აიღებს, მიატოვებს თავის ადგილ-საყოფელს და სხვა ქვეყნებში გაიხიზნება საცხოვრებლად. უფრო ხშირად ეს გადასახლება პერიოდულია, დრო-გამოშვებითა. მაგალითად თონიველები ყოველ წლიე შემოდგომაზე მიფრინვენ ფირანგან ქვეყნებში და გაზაფხულზე უკანვე ბრუნდებიან. ციმბირში ირემიც ყოველ-წლიე ჯოგობით გადადის ტუნდრიდან, — ხასიან ადგილებიდან მიდიან სამხრეთ უზარ-მაზარ ტყეებთან ქვეყნებში და ზაფხულობით ისევ ჩრდილოეთისკენ გამეზურებიან ხავსით მოკულ დედაშიწაზე; ზოგიერთი თევზები გამოზაფხულს აღიან წყაროს დასაწყისში და იქ სდებენ ქვირთას, შემოდგომაზე კი ბრუნდებიან ზღვაში.

მაგრამ ყველა ცხოველების მოგზაურობა პერიოდული არ არის. ზოგჯერ ისინი ათასობით აიყრებიან ერთი ადგილიდან და არც ტყეს, არც წყალს არ დაერიდებიან, ისე პირ და-პირ მიდიან, სანამდის რომელიმე ადგილი არ მოეწონებათ დასადგოვად. თითქმის ყოველთვის ამისთანა მოგზაურობა ხდება ზარალს აძლევი იმ საფლებების მცხოვრებთ, სადაც გაივლის ეს აუჩრებო ჯოგი ცხოველთა. ცხოველების ასეთი ჩიველება უმიზეზოა არ არის; ხშირად შიშში-ლოის გამო გადასახლებებიან ხოლმე, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად ამის მიზეზი ხანლის განათლებაა. ცხოველები ადგილს უთმობენ განათლებას და თითქმის კი იქ მიდიან, სადაც არა თუ განათლება, ადამიანიც არ არის. დიდი განსხვავებაა ამგვარს მოგზაურობასა და პერიოდულ, დრო-გამოშვებით, გადასახლებას შორის. გადასახლების დროს დიდი წესი და რიგი აქვთ ხოლმე დაცული ცხოველებს, მაშინ როდესაც რაიმე მიზეზით აპარგებულს ცხოველების ჯოგს წეს-წყობილების ჯადრი სრულებითაც არა აქვთ და თვითონაც არ იციან საით გაემართებიან.

ცხოველებში ყველაზე უფრო ფრინველებს უყვარსთ მგზაურობა, მერე თევზებს და მწყერებს. რაც შეეხება ოთხ ფეხებს, მათთვის მოგზაურობა ბევრთა უფრო ძნელია; ამას გარდა ისინი უფრო ღონიერებიც არიან და თავის საძოვობოლოლს თითონვე იკავენ. ამის გამო ადგილი ვასაგებია, თუ რატომ არის, რომ ზანტი ჰიპოპოტამი, წყლის ცხენი, მთელ თავის სიცოცხლეს ერთსა და იმავე ტბაში, ანუ ვებებში ატარებს. მძლავრი ლომიც არ შორადგა ერთსა და იმავე ადგილს და თავის მოძმეებს არას ფრის ნაირად

არ შეუშვებს თავის სამეფოში. ესევე შეგვიძლია ესთქვათ ამერიკის ტყეების ცხოველთ მფეხებე—იაგუ-არზე, რომელიც, თუ საქველი შემოაკლდა, ქრისტეს მოკითხულებივით თევზების ქერას შეუდგება და ადგილს კი არ გამოიკლის. ტყვიანავით მარდი კენ-გურუტც კლიობს ერთსა და იმავე ადგილს ყოფნას. საკვირველია, რომ ამისთანავე ხასიათი აქვს ღამუ-რასაც, რომელიც ნახევრად ფრინველია.

მაგერად ბევრი ოთხფეხთაგანიც ხშირად გადადის ადგილიდან ადგილზე, მაგალითად ბიზონების ურიცხვი ჯოგები, იმათ ბევრჯელ შეხედებით ლუი-ზიანაში. მედიდურ სურათს წარმოადგენს ეს ჯოგი; წინ ყოველთვის მიდის წინამძლოი, რომელსაც და-ნარჩევისი ყველაფერიც ბაძავენ. ის უჩვენებს გზას, აძლევს დასვენების ნებას და თავისი მძლავრი ხმით უბრძანებს გზის გაჯრობას. ბიზონების ჯოგი ისე-ე იღიდა, რომ ერთხელ ფრეხელი მიღიდა მისსუ-რილად მექსიკაში და მთელი რვა დღე ნიდაღ ნიშ-ნადნათ იმათ გზაში, რომ გამჟკრივებულნი გუნდ-გუთდათ მიდიოდენ. მიულაუუნებამც ნახა ერთი იმ-ხელა ჯოგი, რომ რამდენსამე ათს კვადრატის მილზე (7 ვერსტია) ძლიეს ეტროდა.

ირმის ჯოგი, ასე ბევრი არ იცის, მაგრამ ისიც ძალიან დიდა. ბარონ ერანგელმა ნახა ერთხელ იმ-დენი მოგზაური ირმების ჯოგი, რომ მათი რქები ნამდვილ ტყეს წარმოადგენდენ. მთელი ჯოგი იარის საათის განმავლობაში განწყვეტილიე მიდიდა ერა-ნგელის წინ.

მაგრამ მარტო დიდი ტანის ოთხფეხები კი არ მო-გზაურობს, წვრილ-ფეხი ცხოველებიც არ ჩამორჩე-ბიან ხოლმე უკან. მაგალითად ციყვებს შეუძლიათ ბიზონებისათვის შორს გადასახლება. რაცა ციყვების ჯოგს ვასავალი მდინარე შეხედნა, ყოველი მარგა-ნი პატარა ხის ნაქერს იპოენის, შეგდებმა ზედ, კულს აჯრად გაიშლის და ამ ნაირთა გადახმანდებმა მყო-რე ნაპირზე.

კიდევ უფრო უშიშრათ მოგზაურობენ ლემინ-გები ნორვეგიაში. მათი ურიცხვი ჯოგი ერთად ჩა-მოგა ქედლან ისე, რომ შორიდან შეხედო, გვერანე-ბა მიწა იძვრია. მათერ შევაშინებს ვერც მდინარე, ვერც ტყე და ვერც კლდე. ბევრი მტრების ებრძვიან მათ, ბევრი მათთანე ვაზზე მოკვდება, მაგრამ უმრავ-ლესი კი თავის მიზანს მიაღწევს.

ნორვეგიის ვლცებებს ჰგონიათ, რომ ისინი ზე-კიდან ჩამოდან, მაგრამ უფრო დასაჯერებელი კი



იაგუარი წმინდა მოციქულების ხელობას ეწევა, თევზაობასა

ეს არის, რომ ისინი შიმშილის გამო იცვლიან ალაგს. დიდი ხანია, რაც შენიშნულია, რომ თუ ზამთარი აღრიანათ დადგა, ლემინგები მაშინვე გადასახლდებიან.

ისინი გრძობენ თავიანთ სიმრავლეს და უშუაშრად მოდიან სულ პირ-და-პირ, გადიან კლდეებზე და გასცურავენ მდინარეებს. ასე გასინჯეთ ადამიანიც ვერ შეაჩერებს მათ, ისინი შემოებევიან კაცს, ჰტენენ მას და მის ჯოხსაც.

სასიამოვნო სანახაინი არიან ამ გადასახლების დროს დედანი ლემინგები. ყოველი მათგანი ორ-ორ

შეიღოს მიათრევს, ერთი პირში უჭირავს და მეორე ზურგზე ჰყავს წამოკიდებული.

ათასობით იხოცებიან ლემინგები მგზავრობის დროს და მათი გეგმებით მოფენილია მთელი გზა; ქორები, არწივები და შეეარდნები სულ თავზე დასტრიალებენ და იტაცებენ ბევრ მათგანს, მელეები კვალში მისდევენ და არ ასვენებენ უბედურებს; შიმშილით და სიცივით თითქმის ნახევარი ამოწყდება ხოლმე, მაგრამ ალლოს ძალა, რომლის გამოც ისინი იცვლიან ადგილს, უფრო ძლიერია ყველა ამ უბედურებებზე.



წმინდა მოწამე აბო

წმინდა მოწამე აბო

მერვე საუკუნის ვასულს საქართველოში ებო-
ეებთ მრავალ მთაერებს, რომელთა შორის
უფრო გამდიერებულნი იყვენ ქართლის მთა-
ერი, აფხაზეთისა და გარდაბანისა. ეს უკანასკნელი
ქვეყანა შეიცავდა განჯას, ნუხას, კარბელოქანს და

კახეთის ნაწილს. აქ დამკვიდრდნ ქორებისკოპოსები,
რომელნიც ბროსეს აზრით სომხეთის გეარის შთამომა-
ვალნი იყენო და ეს აზრი სარწმუნოაც უნდა იყოს.
ამ დროს ქართლის მთაერად იხსენება ნერსე ბაგ-
რატოეანის გეარისა ეს ქართლის მთაერი, როგორც
ამბობს წმინდა აბოს ცხოვრების ამწერი იოანე საბა-

ინის ძე, მტერთა შესმენით იყო დაბარებული ხალიფა აბდოლლასაგან ბაღდადს. მიიწია თუ არა ქართლის მთავარი არაბეთის სატახტო ქალაქში, ვარისხებულმა აბდოლლამ ბძანა შეპყრობა ნერსესი და შთავდება საპყრობილეში, სადაც მან დაჰყო სამი წელიწადი. შემდეგ მოკვდა აბდოლლა ხალიფი და მის მავიერ დაჯდა ხალიფად მამდი, რომელმაც გამოიძია საქმე ნერსესი და დარწმუნდა რა მის უზრალოებაზე, განათავისუფლა საპყრობილიდან, ისევე მთავრული პატივი მიანიჭა და აღიდა დაჯილდოებული გამოუშვა საქართველოში. მან თან წამოიყვანა ერთი ახალგაზდა თერამეტის წლის არაბი შესანიშნავი მცოდნე და ფრიად ხელოვანი სუნწელებით შეზავებული საცხებლის შემზადებაში. მას სცოდნია მკედრის გემის შემორება და ბალზობით ვაკეთება, რომ გემი არ განიხრწნას. ასეთი ხელოვნება ძველადვე ყოფილა საქართველოში გავრცელებული, როგორც თვით „ქართლის ცხოვრებაც“ მოწმობს. ნამეტრე მთავრის კარზე ამ ხელოვანს კაცი ფრიად პატივცემული უნდა ყოფილიყო. თვით წმინდა აბოც ცხოვრების ამწერიც ამტკიცებს, რომ იგი ძალიან დაახლოვებული ყოფილა ნერსე მთავართან და მეტად საყვარელი კაცი გამხდარა მისთვის. ეს განსწავლული არაბულს მეცნიერებაში კაცი შეუდგა ჭეშმარიტ სარწმუნოების გამოკვლევას, იწყო ძველი და ახალი სჯულის წიგნების კითხვა, დადიოდა ეკლესიაში, ისმენდა წმინდა სახარების თარგმანს, საწინასწარმეტყველო საკითხავებს, წმინდა მოციქულების ეპისტოლეათა განმარტებას და მრავალ საქრისტიანო სჯულის მეცნიერების თხზულებებს. თვით ასეთი ვადმოკცმა იოანე საბანის ძისა, როგორც თანამედროვე მწერლისა, გვარწმუნებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მეგრე საუკუნეში დიდი საღვთო და საერო მეცნიერება ყოფილა დამკვიდრებული. აბო არ ერიდებოდა საღვთო სჯულის მეცნიერთა წმინდა კაცებთან ბაასს, რომ გამოერკვია ჭეშმარიტი სარწმუნოება. ბოლოს იმდენად განვითარდა საღვთო წერილი, რომ გულში ამოიქრა ქრისტიანად გახდომა. იმ დროს ქალაქი ტფილისი ეჭირა არაბებს და მფლობელობდა იქ ხვასრო ემირი, რომელიც განაგებდა სომხობას. ხვასრომ აღაშენა ხაზართან დანგრეული ტფილისი, რომელშიაც იმ დროს იყო მრავალი შადრევანები მარმარილოს აუზებით მორთული და სასახლეები სარკინოზთა გეგმაზე აშენებული. ამბობენ, ვითომც ამ დროს არაბებს ვარსკვლავთ სამრეცხველო კოშკიც ჰქონოდათ ტფილისში აგებული. ეს ის დრო იყო, როცა ერკლემი არა-

ბეთის სახელმწიფომ რყევა დაიწყო. სხვა-და-სხვა ქვეყნების ემირები დამოუკიდებელს მთავრობას აპირებდნენ. ტფილისის ემირი მანც იმ დროს თითქმის დამოუკიდებელი შეიქნა და კიდევ უტოლდებოდა სხვა-და-სხვა კუთხის საქართველოს მთავრებს. ამ დროს ქრისტიანობამ ისევე განაღლიერა თავისი ვაჟი-ლენა საქართველოში და მრავალნი მამადის სარწმუნოებისანი ინათლებოდნენ. ერთი ამის ცხადი დამტკიცებელი საბუთი აბოს მოქცევაა არის. მოიწინათო თუ არა წმინდა აბო, იგი მაშინვე შეუდგა ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებას თვით ემირის სატახტო ქალაქში ტფილისში. მისმა მჭევრმეტყველებამ და სახარების ჭეშმარიტების ლაღდებამ აღძრა სათნოებისადმი მრავალი არაბის ჯარისკაცი. შექმნეს მულოღებმა დრტინეა და მოახსენეს ემირს: თუ აბო არ შეიპყრე და მამადის სჯულზე ძალით არ მიადკიცე, მამადიანობა რყევაში მოდისო. ამ ამბავმა მიალენა ბაღდადადის და ხალიფა მამდი გამოგზავნა ოთმანი, რომელიც ემტერა ნერსესს, რადგან იგი მფარველობდა აბოს. ნერსე ვერ დაუდგა არაბის მჭედართ მთავარს და ვაღიხიზნა ხაზართში, საცა თან გაჰყვა აბოცა. იქიდან ნერსე და აბო წაიღენ აბაზეთში მთავარ ლეონ მეორესთან. როდესაც ოთმანი უკუეკცა, ნერსე ისევ მოვიდა ქართლში მთავრად, ხოლო აბომ გასწია კვლავ ტფილისს და უფრო თევ-გამეტებით დაუწყო მამადიანობა ქრისტეს სარწმუნოების ქადაგება.

თითქმის ათი წელიწადი იქადაგა აბომ და მოაქცია მრავალი მამადიანი ქრისტეს სარწმუნოებაზე. ბოლოს 790 წელს ტფილისის ემირმა აღიშუაბის ძემ შეიპყრა წმ. აბო და დაატუსადა. ქართლის მთავარმა სტეფანოზმა*) განათვისუფლებინა იგი საპყრობილისაგან; მაგრამ წმინდა აბო მანც არ დატხრა ქადაგებისაგან და თითქმის სარწმუნოებისათვის იძებდა წამებას. მაშინ ტფილისის ემირმა ხელ მეორედ შეიპყრა იგი და აწამა. მას მოჰკეთეს თავი და ტანი მისი დასწყეს, რადგან ეშინოდათ ქრისტიანებმა საიდუმლოთ არ წარიტაცონ მისი გემი და წამებულად არ აღიარონო. შემდეგ დაწვისა მოაკროვეს ძელები წმინდა აბოსი, ჩაყარეს გუდაში და მეტების ხიდიდან შუაგულ მტკვარში ჩააგდეს. მეორე ღამეს

) ამ მოხსენებულნი ნერსე და სტეფანოზ, ქართლის ცხოვრებაში არ იპოვიან, მაგრამ ჩვენ თანამედროვე მწერლის იოანე საბანის ძის თქმული უფრო გვეჭირა; ამისთვის მისი აღწერით უფრო ვისარგებლეთ.

გეგარდა ხალხში ხმა, რომ იმ ადვილს, საცა წმინდა მოწამის აბოს ძეგლები ჩაყარესო, ზეცით ვარსკვლავი დაადვაო, რომელიც ჩამოდიოდა მდინარემდე; თეით წყლის ჯურღმულიდან საცა განისვენებდენ წმინდის აბოს ძეგლები, ისეთი ცეცხლის შუქი ამოდიოდაო, რომ ხიდი და კლდის კიდევებიც განათებული იყოო.

გ. წერეთელი

კნ. ნინო ორბელიანისა



მისალმების ჩვეულება

სხვადა-სხვა ტომთა შორის

სიწმინდათ მეგობრობისა და ერთობისა უძველეს დროიდან იციან ხელის ჩამორთმევა და კოცნა.

ვირგოლია ამბობს, რომ ენეი სატარტაროზოში დაუხვდა თავის მამას შემდგვი სიტყვებით: ნება მიბოძეთ, მამაო, ხელი ჩამოგართათ.

პოლინეზიაში ჩვეულებათა აქეთ, სხვათა შორის როდესაც ქმარი სადმე მიდის, ცოლს ესალმება იმითი, რომ ცხვირს ცხვირზე მიადებს, როგორც ამ ნახატზედაც არის ნაჩვენები.

როდესაც კაცს უნდა მორჩილება და შიში გამოხატოს, მაშინ ქუდს მოიხდის და მუხლს მოიყრის;

მოდით ვცადოთ ლხინს კარები გაულოთ, მტერი დაცეთ მას ანდრძი აუგოთ, მოყვარესა ფიანდაზი დაუგოთ და სიძარტლე მოძმეთ ხიდათ გაულოთ, რომ უშიშრად თამაშად გაიარონ, ურთიერთის ტერიტი განიზარონ, ერთ პირობა, ერთობა აღიარონ მწუხარებით დაჩაგრულთ არ იარონ.

ნიშნად უბედურების და სისაწყლისა მეტადრე ტატიანის მცხოვრებლებმა იციან გულის-პირის ჩამოხსნა და ზოგჯერ წელამდის გაშიშვლებიან.

ჩვენ საქართველოში იციან მწუხარების ნიშნათ საკინძის ჩამოკლევა, ხოლო სვანეთში ამასთანვე სარტყლის შეხსნაცა; აფხაზებმა კი წელ ზეით გატიტლებთ.

ხშირად უქნაურ ჩვეულებას შეხედება კაცი, ვთქვით კიდევ ტატიანებთა შორის: ისინი მეგობრების შევიდრის უმაღლე ერთმანეთს ფხაჭნიან თევზეშაპის კბილებითა. აფრიკაში ზოგი-ერთი თემები ნიშნად პატივისცემისა ერთმანეთს შეაფურთხებენ. ჩვენში კი ამ ნიშნით სიმპულვარეს გამოხატვენ, ხოლო ევროპაში ამ გეგარ პატივისცემისათვის სილას გართყვენ, ან ღუელში გამოიწვევენ.

გ—ლისა



მისალმების ჩვეულება სხვადა-სხვა ტომთა შორის.

დაღუპული



ამდელი რუსეთის სუსხიანი ზამთარია. თოვლი მხოლოდ ახლა გადიოდა. მთელი ქალაქი თეთრ ჩაღრშია გახვეული. შუა ღამე გადასულია. მოწმენდილ ცაზე ფერ-დაკარგული მთვარე თეთრად კაშკაშებს და უნდა თვალით დაჰყურებს გულცივ ქვეყანას.

ჯერ ისევ აღრე იყო, რომ სტუმრებმა თავი მოიყარეს. უცხო ცოტა ერია; თითქმის სულ შინაურები იყვნენ. ყველა კარგ გუნებაზე იყო და მზიარულება თანდითან ცხოველდებოდა. ზუმრობა, სიცილი, ლაპარაკი, როიალის ხმა, — სულ ერთმანერთში აირია. ცოტა ხანს შემდეგ ზოგნი ბანქოსაც ჩაუსხდნენ.

დიასახლისის ჩვიდმეტი წლის ღამაზი ქალიშვილი მეტად შეენოდა იმ საღამოს. ისე კოხტად ეცა ისე კაპწიად მორთულიყო, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებდა. დახტადა, დაქკრიალდებდა, ხან ერთ სტუმართან მიიბრუნდა, ხან მეორესთან. ყველგან მზიარულება მიჰქანდა. სახე სიზარულთით უბრაყინავდა და თვალებში სიცოცხლე და უდარდებლობა ეხატებოდა. ვინ არ შეამჩნევდა, რომ იგი სრული ბედნიერი იყო? თუმცა ქორწილი ჯერ შორს იყო, ის არაიეს ერიდებოდა და განებთერებული კატასავით ეთამაშებოდა თავის დანიშნულს. ყმაწვილი კაცი კი ცოტა ვერ იყო თავის ქერქში: ამ გვარი მღვამარეობა მას ეწოთირებოდა და ყოველს წუთს წითლდებოდა. ხალხს რომ ხედავდა, ენა ემზობა და მზოლოდ ჩუმნი სიამოვნებით სტკებოდა. სასაცილო საყურებელი იყო საწყალი! ღამაზე საცოლონს პასუხად ის „ჰოა“-ს და „არა“-ს ეუბნებოდა, ან სრულიად უაღრლოდ ილიმებოდა. უფრო ხშირად კი, რომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, საათს მიმართავდა ხოლმე და შოგ ისე ჩასჩრდებოდა, გვერანბოდათ, შეტყობა არ იცისო. მიუხედავად ამ უხერხულობისა იგი სრულ ბედნიერად სთვლიდა თავის თავსა.

ამავე სახლში ორიოდე თვის წინად დაბნადედა ვიღაც ქართველი სტუდენტი; ერთი ოთახი, რომელიც სრულიად მეტი იყო და ცალი იყო რჩებოდა დიასახლისმა მას მიჰაქირავა.

რალაც უცნაური ხასიათის კაცი გამოადგა ახალი მღვდური. იგი თითქმის არაიესთან დადიოდა. მასთანაც იშვიათად დაიარებოდნენ. მიუკარებელმა, მკაბე ხასიათმა და დამკინავემა კილომ ამხანაგები სულ ჩამოაცალა და დააშორა მას. როდესაც კი შინ იყო, ან წიგნს კითხულობდა, ან განუწყვეტილი

ბოლოსა სცემდა. სულ რალაც ფიქრებში იყო გაართული. მოსამსახურე ორჯულ-სამჯურ უნდა დაჰკითხებოდა, რომ პასუხი მიეღო. მეტადრე უკანასკნელ დროს სრულიად გამოიკვალა: ვახდა, თვალები ჩაუკეინდა, მთელი ღამე არ ეძინა და ზოგჯერ ხმა მაღლა თავის თავს ელაპარაკებოდა.

„სწორედ შეყვარებულია საცოდავით!“ დატინებით იბრალდებდა დიასახლისის კოხტა ქალიშვილი.

ხშირად, როდესაც ყველა ძილს ეძლეოდა, ის გადიოდა სასიეროდ და მხოლოდ განთიადისას ბრუნდებოდა სახლში. ეტყობოდა, რომ რალაც აწუხებდა, მოსცენებს არ აძლევდა.

აი, თუნდა ახლა. მთელი დღევანდელი დღე გარეთ არ გამოუხდენია და თავის პატარა ოთახში ნელი ნაბიჯით დადიოდა. სტოლზე რუსული არაყი ეგდა. დღლითვე ცუდ გუნებაზე იყო. საღამოს ხომ, როდესაც სტუმრები შეიყარნენ და აქვე, თავის გვერდით უდარდელი ხარხარი და მზიარული მუსიკა შემოესმა, გული უფრო აემღერა და გაუბრაზდა.

„ვის სცალია ჩემთვის? — ეკითხებოდა, თავის თავს: — მთ რა დარდი აქვთ, თუ აქ, ამ კედელს აქვთ კაცი იტანჯება! ოს! — დააკრატუნა კბილები. — აი ცხოვრება! მთელი ქვეყანა კედლებით არის დაყოფილი; ორ კაცს ეერა ნახე, რომ მთ შუა კედელი არ იყოს აპართული! ზოგს სულიერი, ზნეობრივი კედელი ჰყოფს, ზოგს...“

მან აზრის დათავებდა, სასმელის დათავება ამგვარბანი. თანდათან მოვირა. თავი გაუხურდა და თვალეები აებლანდა.

„არა მე, მეტი ვარ, — დაქინებით ფერბობდა იგი და ამ აზრის სიმართლემ მთლად დაიმონა. — ეს ყოველი უბრალო ფიქრის და გრანობის გარეგა ყოველი სულის მოძრაობის ანალიზი! აი რა მღუპავს მე! ჩემ თავს მე არ ვარგებოდა და საზოგადოებას! მე ვარ უსარგებლო ადამიანი! „უსარგებლო“ უცურად შეჩრდა იგი ამ სიტყვებზე. რას მიქეინ „სარგებლობა“! რა საჭიროა იგი? ვანა ყოველივე ამოაგება არ არის? მეტი? მეტი რალა იქნება: შეიძლება ვიკითხოთ? ვინ იცის, რაა ჰოია! — უფრო და უფრო შეშვოთდა იგი და გესლიანი სიცილით გამხდარი სახე შეეცვალა, — კიდევ ეგ არის რომ „ვინ იცის!“ არაიეს იცის! ყველა უმეცარი, ყველა რვეენია! მე სწორედ გავგიჟებები! — უცურად წაოთძახა მან: რა ტეინმა უნდა აიტანოს ეს ჯოჯოხეთი? მაგრამ... საოცარია: „საიდან საღამო, წმინდა საღამო!“ ვანა ჩვენ შეგვეფერის ამ გვარი...“

აქ ის გაიწერა, ამოიღო ჯიბიდან ვილასიკ წერილი, უსიპაკონოთ გადადო გვერდზე გამოკლიონი შუშა და შუა ადგილიდან დაიწყო კითხვა.

„...შენ, ჩემო ძმობილო,—სწორად იგი,—კი ნუ გეწყინება და ჟუჟუტობიანას“ თამაშობ. ჩვენში ახლა ყველა პატარა ჟუჟუტია — ნეტა რა მიზეზი უნდა იყოს? მაგრამ შენ ყველას გადააქარბე. ჩვენი ახალგაზრდები ბევრნი, გულ-ვატებილი და სიცოცხლეს მოკლებულნი არიან. ვის დამისახებლებ, რომ არ იტანჯებოდეს? ტანჯვა ჩვენი მონაპოლიაა, მაგრამ ხომ გაგიგონია, ჰქირსა გატება რად უნდაო?“ ბიჭო, ვიდრე პირში სული გიდგია, უნდა ხელები აფეთურო, შენ კი დავლით პირი და რაღაც „ობსტრაქციებსა“ ჰყოლაპე. მიგიღვია შუბლზე თითი და იძახა „რა არის სიცოცხლე? რა არის ცხოვრება? სანამ შენ ან ერთს და ან მეორეს გამოიცნობდე, ჰქისტე ქვეყანად მოვა, მაგრამ, რა გელაპარაკო? შენი საქმე მიზეზთა-მიზეზის ძებნა ძიებნაა! „ეძიე ყრმაო!“ თუ დამეთანხმები, ერთი ჰუმბარტეცა აღმოვაჩინე: ყოველი ქართველი ფილოსოფოსია... ცოტად მაინც!“

ასე ირონიულად თავდებოდა წერილი.

დასწყევლოს გამჩენმა! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა მან: — დეე, ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ მე რა მესველება, მე?! ნუ თუ ჩემი სიცოცხლე ასე უნდა დაეღიო? აღარ შემძლია, მოვიღალიყ...

იგი აღელდა და ცუდმა ფერმა გადაჰკრა: რაღაც საშინელმა გადაწყვეტილებამ თითქოს შეაშინა იგი, „მე დალუბული ვარ, დალუბული! — დაჰკრა მან გამწვარებულმა სტოლს მუშტი და ამით დაასო ბეჭედი თავის გადაწყვეტილებას: — მომბეზრდა ყველა, ყველაფერი მომწყინდა! დეე, ცხოვრებამ თავისი მსჯელობა დამდოს! მასაც ხომ თავისი ლოლიკა აქვს! ეცხ!.. უნუგვეზოდ დაიქნია მან ხელი. — კაცოც იგივე მუნჯი, უენო პირუტყვი ყოფილა! მერე აიღო კალამი და თავისდა შეუშინებლად რამდენჯერმე დაწერა: „დალუბული, დალუბული, დალუბული...“ მისი ფიქრები კი ირეოდენ და ეინ იცის ამ დროს სად იყვენ. ამას შემდეგ მან ამოიღო უბის წიგნი, ამოხია ფურცლები და მხოლოდ ორი სტრიქონი დაბლაჯნა:

„რისხვამან შენმან სიცოცხლის ძაფი
შესწყუიტოს, რადგან შესაწყულომა!

და როდესაც თვალი გადაავლო. მწარე ღიმილით წაიბუტბუტა: „რა სიტყვებია! მე ხარკს ვაძლევ რაღაც ბრმა ძალას, რომლისაც მე თვითონ ვერა გამიგია რა!“

„...სიცოცხლე დიდი საუნჯეა, დიდი ბედნიერებაა!“ მოისმა ვილასიკ ხმა კარებიდან, რომელიც მოსამსახურემ ერთს წუთს გააღო და ისევ მსწრაფულად მიხურა.

სწორედ ამ დროს რაღამაც საშინლად დაიქექა. ფანჯრებმა დაიზრიალეს, ყველა შეკვრთა, რომლის მხიარული ხმა შესწყდა. ცოტა ხანს შემდეგ ასტუდა ჩოჩქალი და ყველაფერი აირ-დაირია.

მოწმენდილ ციდან კი გადახრილი მთვარე ძველებურად უნდა თვალთ დაშვრდა უნდა ქვეყანას და კედელს აქეთ შუქს ჰუნდა, სამაგიეროდ იქით შეეჩრდილს აყენებდა.

„უმიღლა სიყვარული უნდა იყოს მიზეზიო,“ ასე ხსნიდენ მეორე დღეს წუბანდელს ამბავს. მიხედუნ... აქც კიდევ ერთი კედელი ამიართა!
ან. დეკანოზიშვილი

გ ე ღ ე ბ ა



ღიორ ეარმით დაჩაგრულს ქალი მოამეცო, უფალო, ბედით ჩაგრულთა ნუგვეზო, და ტანჯულების მკურანლო!

გადმომივიღინე ზეცითა ლთიე-შენიერი ნათელი, გამოიარკეცოს მხნეობა, გამოიქროს გულში ნალველი.

შორს არის... ჯერეთ შორს არის აღთქმული ქვეყნის საზღვარი; მე იქ მისულამდის მომცელის დიდი თოვლ ბუქი და ქარი...

